დანართი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს

_____

განმცხადებელი_____

(გვარი, სახელი, მოქალაქეობა)

პასპორტის ნომერი _____

ფაქტობრივი მისამართი _____

_____

ტელეფონის ნომერი _____

განცხადება

ჩავირიცხე _____

(მიუთითეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება)

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება 2024-2025 სასწავლო წლისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად.

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით
უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო) უფლებამოსილია დაამუშაოს განმცხადებლის პერსონალური მონაცემები (მათ შორის: სახელი, გვარი, პირადი/პასპორტის ნომერი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ან/და საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით სხვა სახის პერსონალური ინფორმაცია) და მონაცემთა შეგროვებისა და გადამოწმების მიზნით გადააგზავნოს იგი სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და, საჭიროების შემთხვევაში, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია; გაეცნოს სამინისტროში მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური; მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ; გაასაჩივროს – თუ მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს.

დანართი:

თარიღი:

ხელმოწერა: